



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საბუნებისმეტყველო
მეცნიერებებში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი,
ააიპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 22 და 23 იანვარი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 13 მარტი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448 (შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი) 211325653 (ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი)
დაწესებულების სახე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი - უნივერსიტეტი ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში
განათლების საფეხური		მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით		0533 ფიზიკის მაგისტრი 0531 ქიმიის მაგისტრი 0511 ბიოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/ახალი)		აკრედიტებულია 03/02/2015, 17 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია დაჭავა - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ნიშნიანიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვლადიმერ ციციშვილი - თსუ პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ხორციელდება შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ხელშეკრულების მიხედვით უნივერსიტეტები თანხმდებიან ერთობლივი ძალებით უზრუნველყონ პროგრამა მატერიალური და ადამიანური რესურსებით და იღებენ ვალდებულებას ბიუჯეტიდან გამოყონ სათანადო ფინანსური რესურსები პროგრამის განხორციელებისთვის. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავება, დამტკიცება, განხორციელება და მასში ცვლილებების შეტანა ასევე ხორციელდება ორივე უნივერსიტეტის აქტიური ჩართულობით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

ა) მოამზადოს ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის მეცნიერებათა მაგისტრი, რომელიც იქნება ორიენტირებული როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობაზე;

ბ) მაგისტრანტებში იმ აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, დოქტორანტურაში სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებისთვის და მეორე მხრივ, თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული კარიერისათვის.

გ) შექმნას ისეთი სასწავლო და კვლევითი გარემო, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მაგისტრანტებს განაგრძონ სწავლა და აკადემიური საქმიანობა საზღვარგარეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში.

ინტერდისციპლინური ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში აერთიანებს 3 მიმართულებას: ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

საერთო სავალდებულო კომპონენტი - 20 ECTS

სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი - 30 ECTS

კვლევითი კომპონენტი (კვლევის მომზადება, კვლევა და პრაქტიკა) - 50 ECTS

სამაგისტრო ნაშრომი - 20 ECTS

საერთო სავალდებულო მოდულების განხორციელებაში ჩართულია როგორც შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ისე ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. რაც შეეხება მიმართულებებს, ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, ფიზიკის მიმართულების მოდულების, კვლევითი კომპონენტის განხორციელებას და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დაცვას უზრუნველყოფს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებების შემთხვევაში კი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივმა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2015 წლის 3 თებერვალს 5 წლის ვადით (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №17). შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობით პროგრამა მომზადდა რეაკრედიტაციისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ა(ა)იპ-საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტსა და შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 22 და 23 იანვარს (2019 წლის 29 ნოემბრის №1159 ბრძანებით განისაზღვრა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა, ამავე ბრძანებაში სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით №8265 შევიდა ცვლილება და დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების თარიღად განისაზღვრა 22 და 23 იანვარი).

ვიზიტის ფარგლებში შედგა დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში ჩართულ პირებთან, კერძოდ, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის ბოლოს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. კერძოდ, პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მეორე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისია სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

- საჭიროა პროგრამაში კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (№69/ნ, 10.04.2019) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ ბრძანებასთან.

- პროგრამის კურიკულუმში უნდა დაფიქსირდეს სასწავლო გეგმის შემადგენელი კომპონენტების განხორციელებაზე მხარეთა პასუხისმგებლობები.

- ბიოლოგიის მიმართულებაში ლაბორატორიული როტაციის „კოგნიტური ნეირომეცნიერებები“ შესაბამისი სპეციალობის სავალდებულო ან არჩევითი მოდულის დამატება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა
 - კურიკულუმის რუკაში თითოეული სასწავლო კურსის (მოდულის) პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებაში ჩართულობის დონის (I - გაცნობა, P - გაღრმავება, M - განმტკიცება) განსაზღვრა.
 - პროგრამაში ფიზიკის მიმართულების ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებებთან ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა.
 - სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო სივრცეში კონფერენციების ჩატარების ინტენსივობის გაზრდა
 - საქართველოში არსებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ურთიერთთანამშრომლობის გარღმავება

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილ ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდა გარკვეული ცვლილებები პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების, შრომის ბაზრის კვლევის შედეგების, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების მოსაზრებების გათვალისწინების საფუძველზე. მაგალითად, შერჩევით ლაბორატორიულ-როტაციებს დაემატა ოთხი ლაბორატორიული როტაცია. ესენია: მოლეკულური გენეტიკა 2, იმუნოლოგია და უჯრედული ბიოლოგია 2, მიკრობიოლოგიის როტაცია და ემბრიოლოგია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრებისას ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შედგენილია საერთაშორისო გამოცდილებისა და ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის კურიკულუმი ფოკუსირებულია სწავლებისადმი ინდივიდუალურ მიდგომაზე და კვლევაზე ორიენტირებულ პროგრამას წარმოადგენს. ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული და რეალისტურია. პროგრამის მიზნებია: ა) მოამზადოს ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის მეცნიერებათა მაგისტრი, რომელიც იქნება ორიენტირებული როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობაზე. ბ) მაგისტრანტებში იმ აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, დოქტორანტურაში სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებისთვის და მეორე მხრივ, თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებული კარიერისათვის. გ) შექმნას ისეთი სასწავლო და კვლევითი გარემო, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მაგისტრანტებს განაგრძონ სწავლა და აკადემიური საქმიანობა საზღვარგარეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროგრამა ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი პროცესის ინტერნაციონალიზაციას, რაც გულისხმობს პროგრამის პროფესორების ინტენსიურ კოლაბორაციას საერთაშორისო მკვლევარებთან, სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო კვლევებსა და საგრანტო პროექტებში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი აქტიურ სამეცნიერო თანამშრომლობას ეწევა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და კვლევით ინსტიტუტებთან, რაც კარგად ჩანს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელ დოკუმენტში (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, საერთაშორისო მოხილობის მაჩვენებელი, გაცვლითი პროგრამები და სხვა) და აკადემიური პერსონალის პირად მონაცემებში.

<p>პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამა წარმოადგენს ორივე უნივერსიტეტის მისიის პრაქტიკაში განხორციელების ერთ-ერთ აკადემიურ მექანიზმს - შექმნას სწავლის, სწავლების და კვლევისთვის ხელმისაწვდომი გარემო, რომელიც სტუდენტებს კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარებს განუვითარებს და რაც კურსდამთავრებულებს ხელს შეუწყობს იყვნენ მოქნილი და წარმატებული მუდმივად ცვალებად საქმიან გარემოში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის მიზნები; • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისია http://agruni.edu.ge, http://freeuni.edu.ge • შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ერთობრივი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ჩანს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების“</p>

შესაბამისობის რუკა“. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა ცხადად და გარკვევით აჩვენებს თითოეული სასწავლო კურსის როლს, დანიშნულებასა თუ აუცილებლობას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში.

პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის და ახდენს იმ სასწავლო კურსების იდენტიფიცირებას, თუ პროგრამის რომელი სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება.

პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგები პროგრამის შემადგენელი სამივე მიმართულებისთვის, კერძოდ, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მიმართულების მოდულების ათვისების შემდეგ რა უნარებს ფლობს მაგისტრანტი.

ა(ა)იპ-საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტსა და შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმი. შეფასების პირდაპირი მეთოდების გამოყენებით ნაჩვენებია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი. სწავლის შედეგების გაზომვადობას უზრუნველყოფს სასწავლო კურსებში განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები და შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალე კრიტერიუმებს და ასახულია ყველა სილაბუსში.

არაპირდაპირი მეთოდით, კერძოდ, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვით და ვიზიტისას მათთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შედეგები არის მიღწევადი და რეალისტური. კურსდამთავრებულების ნაწილი სწავლას აგრძელებს განათლების შემდეგ საფეხურზე (როგორც საქართველოში, ისე აშშ-სა და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში), ნაწილი კი დასაქმებულია კვლევით ლაბორატორიებში (გენეტიკის ეროვნული ლაბორატორია, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი) ან თავად უნივერსიტეტში.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ჩართულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებელი. მათი გამოკითხვით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული რეკომენდაციები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განვითარება/გაუმჯობესებაზე მუშაობს თვითშეფასების ჯგუფი (რექტორი, პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში, პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში, აკადემიური პერსონალის პროფესიული უნარების განვითარების მენეჯერი, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური). თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ თვითშეფასების პროცესი არ იწყება უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის მომზადების წინ, არამედ ეს არის უწყვეტი პროცესი და წელიწადში 2-ჯერ ჯგუფს, საგანმანათლებლო პროგრამების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით შეფასებისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით, ცვლილებები შეაქვს პროგრამებში განვითარების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;

<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; • საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

აღწერა და შეფასება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, სამართლიანი, ხელმისაწვდომი აპლიკანტებისთვის და პროგრამის კურიკულუმში კარგადაა ჩამოყალიბებული.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა:

- საერთო სამაგისტრო გამოცდაზე (ბიოლოგიის და ქიმიის მიმართულელების შემთხვევაში - A ტიპის ტესტი; ფიზიკის მიმართულელების შემთხვევაში - B ტიპის ტესტი) მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა

- ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა

- შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით გავლა

მაგისტრანტობის კანდიდატს ინგლისური ენის ცოდნა მოეთხოვება B2 დონეზე, რასაც ადასტურებს ან B2 დონეზე ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ან უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისთვის გამოცდის ჩატარებას.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ორი ნაწილისგან შედგება: წერითი (სამოტივაციო წერილი) და ზეპირი გამოცდა. შიდა გამოცდით დგინდება მაგისტრანტობის კანდიდატის ზოგადი მომზადება და უნარ-ჩვევები, დარგის შესაბამისი კომპეტენცია და მზაობა კვლევით საქმიანობაში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების შესაძლებლობა ეძლევა ნებისმიერი განათლების მქონე კანდიდატს. როგორც პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, როცა მაგისტრანტი არ ფლობს ბაკალავრის ხარისხს რელევანტურ სამეცნიერო დარგში, მაგისტრანტისთვის შედგება ექსტრაკურიკულარული სწავლის გეგმა არსებული დეფიციტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად და ტუტორისა და/ან ხელმძღვანელის ინსტრუქტაჟით, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა კრედიტების მიღების გარეშე გაიაროს შესაბამისი კურსები (ორივე უნივერსიტეტის ფარგლებში, თითოეულ დარგში შეთავაზებული მრავალფეროვანი კურსების სიიდან). აღნიშნული დაადასტურა სტუდენტმა, რომელსაც ბაკალავრის კვალიფიკაცია ჰქონდა სოციალურ მეცნიერებებში, ასევე კურსდამთარებულმა, რომელმაც სამხატრო აკადემიის დასრულების შემდეგ გაიარა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

შპს თბილისის თავისუფალი და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების ვებგვერდებზე განთავსებულია ინფორმაცია პირთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ყველასთვის, თუმცა არ არის საკმარისი პროგრამის რეკლამირებისთვის. როგორც კურსდამთარებულებმა აღნიშნეს, სამაგისტრო პროგრამას სჭირდება მეტი რეკლამირება, განსაკუთრებით კი იმ წინაპირობას, რომ საბუნებისმეტყველო

მეცნიერებებში ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების შესაძლებლობა ეძლევა ნებისმიერი განათლების მქონე პირს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა; • ვებ გვერდები: http://agruni.edu.ge, http://freeuni.edu.ge • სამაგისტრო პროგრამების დებულება; • ინტერვიუს შედეგები •
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> • ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<h2>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</h2>
<p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>აღწერა და შეფასება</p> <p>შპს თბილისის თავისუფალ და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამ პროცესში ჩართული იყო შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა.</p> <p>პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის</p>

სწავლის შედეგების მიღწევას და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სამაგისტრო პროგრამის 120 კრედიტი განაწილებულია 4 კომპონენტზე:

საერთო სავალდებულო კომპონენტი - 20 ECTS

სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი - 30 ECTS

კვლევითი კომპონენტი (კვლევის მომზადება, კვლევა და პრაქტიკა) - 50 ECTS

სამაგისტრო ნაშრომი - 20 ECTS

ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში კვლევითი კომპონენტი იყოფა ორი მიმართულებით: 1) ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულება, რომელიც მოიცავს ბიოლოგიურ და ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის პრაქტიკას და 5 ლაბორატორიულ როტაციას. ეს კომპონენტი გულისხმობს ბიოლოგიურ და ქიმიურ ლაბორატორიებში მუშაობის ყოველდღიური, რუტინული მეთოდების, ხელით მუშაობის ტექნიკის ათვისებას. კვლევითი ლაბორატორიული როტაციის ფარგლებში სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას, კონკრეტული ლაბორატორიისათვის სპეციფიური კვლევის მეთოდების, ლაბორატორიაში მუშაობის წესების შესწავლას და კვლევითი ექსპერიმენტების ჩაატარებას; 2) ფიზიკის მიმართულება, რომელიც აერთიანებს სამაგისტრო სემინარს, კვლევის მომზადებას I და II. სამივე კომპონენტი გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომისთვის აუცილებელი პრაქტიკული და/ან თეორიული სამუშაოს წარმოებას.

საჭიროა პროგრამაში, სასწავლო გეგმაში ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (№69/ნ, 10.04.2019) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ ბრძანებასთან და კურიკულუმში სასწავლო კურსები/მოდულები დალაგდეს შემდეგი სახით:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/მოდულები
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები
- თავისუფალი კომპონენტი

სასურველია სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში პროგრამის შემადგენელ კომპონენტების ცხრილში მითითებული იყოს რომელ სემესტრში ხორციელდება თითოეული კომპონენტი, კომპონენტისთვის განკუთვნილი საათების განაწილება საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად და პრერეკვიზიტები (წინაპირობები).

შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.9 პუნქტის მიხედვით პროგრამის საერთო სავალდებულო კომპონენტის შემადგენელი მოდულების განხორციელებაში ორივე მხარეა ჩართული, ფიზიკის მიმართულებით დანარჩენ მოდულებს ახორციელებს თავისუფალი უნივერსიტეტი, ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებების შემთხვევაში აგრარული უნივერსიტეტი. აღნიშნული არ ჩანს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში.

კურიკულუმის სავალდებულო ნაწილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.

სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებელი და ინდივიდუალური კვლევითი პროექტის განხორციელებაზე, ხელმძღვანელის და რელევანტური აკადემიური პერსონალის ინსტრუქტაჟით.

<p>პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის: აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორები, შპს თბილისის თავისუფალი და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; • კურიკულუმი და სემესტრული გეგმა; • პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა; • ვებგვერდი http://agruni.edu.ge, http://freeuni.edu.ge
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საჭიროა პროგრამაში კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (№69/ნ, 10.04.2019) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ ბრძანებასთან. • პროგრამის კურიკულუმში უნდა დაფიქსირდეს სასწავლო გეგმის შემადგენელი კომპონენტების განხორციელებაზე პასუხისმგებელი მხარეები.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>
--

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი თითოეული კომპონენტის, მიმართულებების შემადგენელი მოდულების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ეს შესაბამისობა ჩანს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის რუკაში - პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის შემადგენელ სასწავლო კურსებთან კავშირის რუკა. თუმცა ეს კავშირი უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, თუ კურიკულუმის რუკაში განსაზღვრავდით თუ რა დონით (I - გაცნობა, P - გაღრმავება, M - განმტკიცება) ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს.

ყოველი სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსებში საათების დიდი რაოდენობა მაგისტრანტების დამოუკიდებელ მუშაობაზეა გამოყოფილი. ინტერვიუს დროს სასწავლო კურსების განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა დამოუკიდებელი საათების დიდი რაოდენობა ახსნა იმით, რომ მაგისტრანტებს შუალედური შეფასების მისაღებად ეძლევათ დიდი მოცულობით დავალება, რომლის შესრულებას სხვადასხვა რესურსების გამოყენებით სჭირდება დამოუკიდებელი საათების დიდი რაოდენობა.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და მათ მიღწევას უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასა.

სასწავლო კურსის სილაბუსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სასწავლო კურსის დასახელება, კრედიტების რაოდენობა, კურსის კოდი, სემესტრი, სასწავლო კურსის ტიპი (ძირითადი, არჩევითი), ენა, ლექტორის ვინაობა და ელ. ფოსტა, აუდიტორიის ნომერი, დამატებითი კონსულტაციის შესახებ აღნიშვნა, სასწავლო კურსის აღწერა, პრერეკვიზიტი, სასწავლო კურსის მიზანი, სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა, შეფასების შკალა, სასწავლო მასალები, კალენდარული გეგმა, დამატებითი მოთხოვნები ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მაგ: სასწავლო კურსებში „სამაგისტრო სემინარი: თანამედროვე საკითხები ბიოლოგიაში და ქიმიაში“, „სამაგისტრო სემინარი: თანამედროვე ფიზიკის საკითხები“ მაგისტრანტები ტუტორებთან ერთად განიხილავენ სამეცნიერო პუბლიკაციებს, რომელთა დახმარებით მაგისტრანტები ეცნობიან სფეროში/დარგში უახლეს კვლევებს, არსებულ სიახლეებსა და მიღწევებს.

ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 3 მიმართულებისგან: ბიოლოგია, ქიმია და ფიზიკა შედგება. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულ შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებების ინტეგრაციის ხარისხი ბევრად მაღალია, ვიდრე ფიზიკის მიმართულების ბიოლოგიასთან და/ან ქიმიასთან.

ბიოლოგიის მიმართულებაში სპეციალობის სავალდებულო და არჩევით მოდულებთან ერთად არის ამ მოდულების შესაბამისი ლაბორატორიული როტაციები. მაგ: მოდული „მიკრობიოლოგია“ და შესაბამისი ლაბორატორიული როტაცია მიკრობიოლოგიაში. შესაბამისად, სასურველი იქნება ლაბორატორიული როტაციისთვის -

კოგნიტური ნეირომეცნიერებები, ბიოლოგიის მიმართულებაში დაემატოს მოდული ნეირომეცნიერებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა; • კურიკულუმი და სემესტრული გეგმა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა; • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> ▪ ბიოლოგიის მიმართულებაში ლაბორატორიული როტაციის „კოგნიტური ნეირომეცნიერებები“ შესაბამისი სპეციალობის სავალდებულო ან არჩევითი მოდულის დამატება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> • კურიკულუმის რუკაში თითოეული სასწავლო კურსის (მოდულის) პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებაში ჩართულობის დონის განსაზღვრა (I - გაცნობა, P - გაღრმავება, M - განმტკიცება). • პროგრამაში ფიზიკის მიმართულების ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებებთან ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შპს თბილისის თავისუფალი და ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სტუდენტთა</p>

პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

პროგრამის ხელმძღვანელებმა და აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნეს, რომ პროგრამის მიზანს წარმოადგენს მაგისტრანტებში პრაქტიკული უნარების განვითარება. შესაბამისად პროგრამაში ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულების სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ხოლო მიმართულებების მიხედვით ლაბორატორიული როტაციები ითვალისწინებს ლაბორატორიებში ინდივიდუალურ მუშაობას, რაც ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას. პრაქტიკული უნარების განვითარებას განაპირობებს ფიზიკის მიმართულების მოდულებში არსებული პრაქტიკული მეცადინეობები.

სტუდენტებს ლაბორატორიული სამუშაოები უტარდებათ თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების სხვადასხვა ლაბორატორიაში, მათ შორის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კარგად აღჭურვილ კვლევით ლაბორატორიებში. ე.ი. უნივერსიტეტები ერთობლივი ხელშეკრულების საფუძველზე ახდენენ მატერიალურ რესურსების კონსოლიდაციას და გეგმავენ პროგრამის განხორციელებას.

სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებისათვის სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს კვლევების დამოუკიდებლად შესრულებაზე ხელმძღვანელის ინსტრუქტაჟით, რომელიც დარგის კვალიფიციური პირია და ის აფასებს სტუდენტის საქმიანობას და პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების განვითარებას.

მაგისტრანტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ შპს თბილისის თავისუფალი და ა(ა)იპ-ს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში; მონაწილეობა მიიღონ სამაგისტრო საგრანტო კონკურსებსა და საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში. რაც დადასტურდა ვიზიტის დღეს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებით შეძენილი პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარები მნიშვნელოვნად დაეხმარა მათ სწავლის მომდევნო საფეხურზე გაგრძელებაში (აშშ-სა და ევროპის უნივერსიტეტებში), ასევე სხვადასხვა ლაბორატორიაში დასაქმებაში. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ასევე ისაუბრეს, საუნივერსიტეტო სივრცეში კონფერენციების ჩატარების ინტენსივობის გაზრდაზე და მათ მნიშვნელობაზე სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- მაგისტრანტის დარგობრივი პრაქტიკის ჩატარების წესითა და შეფასების ინსტრუქციით; მემორანდუმებით;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო სივრცეში კონფერენციების ჩატარების ინტენსივობის გაზრდა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლება/სწავლის მეთოდები/აქტივობები სასწავლო კურსის (მოდულის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი პროფესორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში.</p> <p>ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ სამივე მიმართულებაში (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) გამოიყენება სწავლების და სწავლის შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსია/დებატები, ახანა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ანალიზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.</p> <p>ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებებში ლაბორატორიულ როტაციებში ასევე გამოიყენება ლაბორატორიული მეთოდი.</p> <p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ სამივე მიმართულებაში (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) სხვადასხვა მოდულის სილაბუსში, ასევე ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულების ლაბორატორიული როტაციების სილაბუსებში მითითებული სწავლება-სწავლის მეთოდები მჭიდრო კავშირშია შეფასების სისტემასთან, რომელიც განსაზღვრულია სწავლის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით. შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით იზომება სასწავლო კურსების სწავლის შედეგები. სილაბუსებში ასევე ჩანს რამდენად უზრუნველყოფს სასწავლო კურსის განმახორციელების მიერ განსაზღვრული სწავლება/სწავლის მეთოდების გამოყენება სწავლის შედეგების მიღწევას.</p>

მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; • გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p>სტუდენტების შეფასების სისტემა შეესაბამება სწავლის შედეგებს და სხვადასხვა სახის კრიტერიუმით ზომავს მას, თუ რას მიაღწია სტუდენტმა კონკრეტული კურსის გავლის შედეგად, რა იცის, რისი გაკეთება შეუძლია. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტია, ის შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი.</p> <p>სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები, რაც სისტემას ქმნის გამჭვირვალეს. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ინფორმაციულ სისტემაში განთავსებული სილაბუსებით მათთვის სასწავლო კურსის შესწავლის დაწყებისთანავე ცნობილია თუ როგორ შეფასდება მათი აქტივობები და სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. აკადემიურმა პერსონალმა ისაუბრა შეფასების სისტემის გამჭვირვალობაზე და აღნიშნეს, რომ შეფასების თითოეული კომპონენტისთვის გაწერილი რუბრიკები და დეტალურად აღწერილი კრიტერიუმები საშუალებას აძლევთ ობიექტურად და სამართლიანად შეაფასონ სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები საგნის ფარგლებში.</p> <p>შეფასების მეთოდები მოიცავს წერით და ზეპირ გამოცდებს, ტესტებს, ქვიზებს, პრეზენტაციებს, პრაქტიკულ სამუშაოებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, წერით ნაშრომებს, პროექტებს, რომლებიც გამოყენებულია სტუდენტის მიერ სწავლაში მიღწეული პროგრესის,</p>

<p>სწავლის შედეგების გასაზომად, რომელიც, თავის მხრივ, მოცემულია სასწავლო კურსში/სილაბუსებში.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში აღწერილია მისი შეფასების კრიტერიუმები.</p> <p>ცოდნის შემოწმების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ლექტორების მიერ სტუდენტებისთვის უკუკავშირის დაბრუნება. უკუკავშირი გულისხმობს მიღებული შედეგების გაანალიზებას, რეკომენდაციების გაცემას და სტუდენტისთვის ხელშეწყობას უკეთ დაგეგმოს საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების გზები.</p> <p>მაგისტრანტებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ ბაკალავრის საფეხურზე ფლობდნენ ინფორმაციას პლაგიატის შესახებ, ამიტომ სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულებისას ამ საკითხს დიდი ყურადღებით ეკიდებიან, რის გამოც აკადემიური თაღლითობის ფაქტები მათ ნაშრომებში არ ფიქსირდება. სტუდენტები კარგად იცნობენ სტუდენტის ეთიკის კოდექსს, რომელშიც გაწერილია ის სადამსჯელო ღონისძიებები, რაც შეიძლება განხორციელდეს პლაგიატის დაფიქსირების შემთხვევაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; • სამაგისტრო პროგრამების დებულება; • გამოცდების ჩატარების წესი (http://agruni.edu.ge, http://freeuni.edu.ge); • გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტები, შინაგანაწესისა და მარეგულირებელი დოკუმენტების მეშვეობით, ქმნიან ისეთ გარემოს, რომელიც სრულფასოვნად უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას და კონსულტაციას, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ საკითხებს, ისე სოციალურ და სხვა სერვისებს. უნივერსიტეტების მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ და ღიად დევს ვებ-გვერდზე (<http://freeuni.edu.ge/ge/documents>, <http://agruni.edu.ge/ge/documents>).

მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ სწავლის დაწყებისთანავე საინფორმაციო შეხვედრის ფარგლებში, რომელსაც ატარებენ სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები.

დოკუმენტებში - სამაგისტრო პროგრამების დებულება და სტუდენტთა ეთიკის კოდექსი - მითითებულია სტუდენტის, როგორც საგანმანათლებლო სისტემის ნაწილის, უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები.

რაც შეეხება სტუდენტების ცოდნის შეფასების მექანიზმებს, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის მიერ ათვისებული ცოდნის გამოკითხვის ფორმები და მათი შეფასების კრიტერიუმები (რუბრიკები). ყველა სასწავლო

კურსის სილაბუსი ატვირთულია სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში და სტუდენტებს შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ ამ სისტემაში არსებული ინფორმაციით. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრების დროს. თუმცა ასევე გამოიკვეთა, რომ ლექტორი პირველივე შეხვედრაზე აცნობს სტუდენტებს სილაბუსს და ყურადღებას ამახვილებს შეფასების ფორმებსა და მექანიზმებზე. სტუდენტებმა, კალენდარული გეგმიდან გამომდინარე, იციან, როდის ხდება კონკრეტულ საგნში ცოდნის შეფასება.

სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლები არიან სოციალური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მიმართულებების ხელმძღვანელები.

პროგრამის ხელმძღვანელები ხელს უწყობენ სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების დაგეგმვას, კოორდინირებას და თანამედროვე, სამეცნიერო-კვლევით სივრცეში ინტეგრირებას. სკოლის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ ადმინისტრაციულ ხელშეწყობას მაგისტრანტებისთვის; დაინტერესებული პირებისა და მაგისტრანტების ინფორმირებას საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ; კონსულტაციის გაწევას სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით და ა.შ.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ყოველთვის შეუძლიათ დაუკავშირდნენ როგორც სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანს, ისე პროგრამის ხელმძღვანელებს. გარდა ამისა, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიურიპერსონალი ვალდებულია სტუდენტს ინდივიდუალურად გაუწიოს კონსულტაცია საჭიროებისამებრ.

სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობს სტუდენტების დეკანი, რომელიც არის მთავარი საკონტაქტო პირი სტუდენტისთვის ნებისმიერი პრობლემის თუ გაურკვევლობის შემთხვევაში. დეკანი ერთგვარი შუამავალი, დამაკავშირებელი რგოლია სტუდენტებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ მენეჯმენტს შორის და აქდერებს სტუდენტთა პრობლემებსა და გამოწვევებს.

თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტებში სტუდენტებსა და აბიტურიენტებთან ურთიერთობის სამსახურის სტრუქტურაში შედის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ოფისი, რომლის ფუნქციაა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა. ოფისს აქტიური ურთიერთობა აქვს, ერთის მხრივ, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, და, მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან. ოფისი აწვდის მათ ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, ახდენს დასაქმების ფორუმის ორგანიზებას - სემესტრში ერთხელ, რომელშიც საშუალოდ 100-მდე კომპანია მონაწილეობს და სტუდენტები იღებენ ინფორმაციას დასაქმების ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესახებ, ასევე მათი ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერები ან შერჩევის ოფიცრები, ფორუმის ფარგლებში ადგილზე ატარებენ გასაუბრებებს მათ კომპანიაში არსებულ კარიერულ შესაძლებლობებზე კონკრეტულ სტუდენტებთან.

<p>დასაქმების ფორუმი საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, გააცნონ საკუთარი შესაძლებლობები და უნარები მომავალ დამსაქმებელს და იზრუნონ კარიერულ განვითარებაზე.</p> <p>სტუდენტების დეკანი და დასაქმების ოფისის მენეჯერი მუდმივად აწვდიან ინფორმაციას სტუდენტებს სხვადასხვა კონკურსის, სტაჟირების და პროექტის შესახებ. სტუდენტების დეკანთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კურსდამთავრებულები აქტიურად მიმართავენ მათ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგაც დასაქმებასთან დაკავშირებით.</p> <p>ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ნაკლებად ფლობდნენ ინფორმაციას ადმინისტრაციული პროზიციის -სტუდენტების დეკანისა და მისი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ვებ-გვერდები: http://agruni.edu.ge, http://freeuni.edu.ge • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებში ადმინისტრაციული პროზიციის - სტუდენტების დეკანის ცნობადობის ხარისხის გაზრდა
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტის გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი შედგება შესაბამის დარგებში (ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) გამორჩეული კვალიფიკაციის მქონე პროფესორების, მკვლევარებისა და მეცნიერებისაგან. შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას</p>

ხელმძღვანელობს თემატიკის შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტი/სპეციალისტები.

პროგრამის ხელმძღვანელებმა, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ისაუბრეს სამაგისტრო ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის არჩევის შესახებ. გამოიკვეთა, რომ სტუდენტები პირველ სემესტრში სასწავლო კურსით „სამაგისტრო სემინარი“ ეცნობიან ლაბორატორიების ძირითად კვლევების მიმართულებებს და თითოეული კვლევის ხელმძღვანელთან ერთად დეტალურად არჩევენ, როგორც კვლევაში გამოყენებულ მიდგომებს, ასევე კვლევის საკითხის ირგვლივ არსებულ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას. ამ გზით სტუდენტები უკეთ ეცნობიან არა მარტო თავისი ინტერესის ვიწრო სფეროს, არამედ ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის დარგების სპეციფიური ქვედარგების მთელს სპექტრს და დეტალური წარმოდგენა ექმნებათ უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევების შესახებ, რაც მათ ეხმარება კვლევის ინტერესების განსაზღვრა-გაღრმავებაში.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ სტუდენტებს ინფორმაციას აწვდიან პროგრამის ხელმძღვანელები, რაც ასევე ეხმარებათ სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევაში.

თითოეული მაგისტრანტი მუშაობს ინდივიდუალურად ხელმძღვანელთან, რომელიც ეხმარება მას თემის შერჩევაში, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესის დაგეგმვაში და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, უწევს კონსულტაციას, გამოთქვამს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში ეხმარება მათ კორექტირებაში. ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს დასკვნას და იღებს მონაწილეობას ნაშრომის შეფასებაში. ხელმძღვანელებს მაგისტრანტებთან ერთად შესრულებული კვლევის შედეგები პუბლიკაციების სახით გამოქვეყნებული აქვთ რეიტინგულ ჟურნალებში.

როგორც მაგისტრანტების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, მათსა და მაგისტრანტებს შორის ურთიერთობა ემყარება სრულ აკადემიურ თავისუფლებას, მუდმივ ურთიერთ-თანამშრომლობასა და ორმხრივ პასუხიმგებლობას. აღნიშნული ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს მაგისტრანტს ჩამოუყალიბოს კვლევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ვიზიტის ფარგლებში გადაიხედა 9 სამაგისტრო ნაშრომი სამივე მიმართულების მიხედვით, ყველა ნაშრომი ინდივიდუალური იყო და მაღალ დონეზე შესრულებული.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი მათ სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რაც პროგრამას სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულს ხდის. თითოეულ სტუდენტთან ხდება ინდივიდუალური კონსულტაციის გაწევა კვლევასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ქმნის შესაბამის პლატფორმას სწავლის მომდევნო საფეხურზე გასაგრძელებლად როგორც საქართველოში, ისე აშშ-სა და ევროპის უნივერსიტეტებში.

პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში არსებულ და ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის დარგში მომუშავე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება. ბოლო წლებში მრავალ კვლევით

ინსტიტუტში მოხდა მნიშვნელოვანი ტექნიკური გადაიარაღება, და ახალი შესაძლებლობები გასათვალისწინებელია სამაგისტრო ნაშრომების დაგეგმვის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით;
- სამაგისტრო პროგრამების დებულებით;
- სამაგისტრო ნაშრომების განხილვა;
- დასტურდება პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საქართველოში არსებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ურთიერთთანამშრომლობის გარდამავება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა მოხდა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ პროფესორი, ასევე მოწვეული სპეციალისტები (9), ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (26).

პროგრამა შედგება 3 მიმართულებისგან და სამივე უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით. კერძოდ, ბიოლოგიის მიმართულების განხორციელებაში ჩართული 6 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი და 2 მოწვეული სპეციალისტი; ქიმიის მიმართულების - 2 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი და 2 მოწვეული სპეციალისტი; ფიზიკის მიმართულების - 4 პროფესორი და 2 მოწვეული სპეციალისტი.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაში მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამის შემადგენელ მიმართულებებთან. მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი მონაცემებით, ასევე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტით, რომელშიც აღწერილია პერსონალის საერთაშორისო კვლევებში/გაცვლით, საერთაშორისო და/ან ადგილობრივ პროექტებში ჩართულობა; საერთაშორისო თანამშრომლობები; პუბლიკაციები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ სამივე მიმართულებას - ბიოლოგიას, ქიმიასა და ფიზიკას თავისი ხელმძღვანელი ჰყავს. თითოეული მიმართულების ხელმძღვანელი გამოირჩევა თავის დარგში შესრულებული შრომებით, რომლებიც მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებშია გამოქვეყნებული. თითოეულს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და

გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო პროცესების დაგეგმვაში; სასწავლო მასალებისა და სილაბუსების შედგენისა და საჭიროებისამებრ განახლების პროცესში; სასწავლო პროგრამისა და კურიკულუმის შემუშავებაში; პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცესში; პროგრამის აკრედიტაციის პროცესებთან დაკავშირებულ აქტივობებში. პროგრამის შემადგენელი მიმართულებების ხელმძღვანელებმა ისაუბრეს სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის შესახებ, რომლის დროსაც ისინი აწვდიან მაგისტრანტებს ინფორმაციას პროგრამის შესახებ, კერძოდ, მიმართულებების, მოდულების და ლაბორატორიული როტაციების შესახებ და ა.შ.

ვიზიტისას დავინტერესდით თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის მიღების წესით. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერმა ისაუბრა კონკურსის წესით პერსონალის სამსახურში მიღების პროცედურის შესახებ, რომელიც ორივე უნივერსიტეტში ერთნაირად ხორციელდება, და აღნიშნა, რომ ინფორმაცია კონკურსის შესახებ საჯაროა და აპლიკანტს დოკუმენტების წარმოდგენასთან ერთად ევალება საჩვენებელი ლექციის ჩატარება.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასება და შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი ღონისძიებების დასაგეგმად.

აკადემიური პერსონალის განვითარების მენეჯერმა ისაუბრა აკადემიური პერსონალის და მეცნიერთა ყოველწლიური აქტივობის შეფასების მექანიზმზე და აღნიშნა, რომ მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის განვითარებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციისათვის შეიმუშავებს პერსონალის განვითარების მეთოდებსა და მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს სწავლისა და სწავლების ხარისხის კულტურის ამაღლებას ორივე უნივერსიტეტში. მან აღნიშნა, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში ატარებს ტრენინგებს და აცნობს ახლად არჩეულ აკადემიურ პერსონალს სილაბუსების შემუშავების, დაწერის მეთოდოლოგიას, სწავლებისა და სწავლის თანამედროვე პრინციპებსა და სტრატეგიებს; ეხმარება კურსისთვის შესაბამისი შეფასების სისტემის, ცოდნის შემოწმების ფორმების შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს და ზომავდეს სასწავლო კურსში პერსონალის მიერ შემუშავებულ სწავლის შედეგებს; ქმნის ვორქშოპების საორიენტაციო შეხვედრების სტრუქტურას და გეგმას, რომელიც გულისხმობს აკადემიური პერსონალის დამხმარებას სილაბუსების გამართულ მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფაში, კურსისთვის რელევანტური შეფასების სისტემის შემუშავებაში, შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებას სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების და მიდგომების შესაბამისად; იყენებს ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ კვლევის შედეგებს, რის საფუძველზეც ავლენს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ სწავლების მეთოდებში სუსტ მხარეებს, შეიმუშავებს სამუშაო შეხვედრების გეგმას შესაბამისი სუსტი მხარეების გასაუმჯობესებლად; ადამიანური რესურსების განვითარების მენეჯერთან ერთად შეიმუშავებს საორიენტაციო შეხვედრების განრიგს, რომლითაც ხელს უწყობს ახლად არჩეული აკადემიური პერსონალის ინტეგრირებას საუნივერსიტეტო სივრცეში; არსებული აკადემიური პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის სემესტრულად გეგმავს სამუშაო სემინარებს, სადაც მათთან ერთად განიხილავს, აანალიზებს და გამოავლენს პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების, სტრატეგიების, ცოდნის შემოწმების ფორმების სუსტ და ძლიერ მხარეებს, აცნობს მათ განათლების სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს, ხელს უწყობს თვითგანვითარების მოტივაციის ამაღლებაში და ა.შ.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური პერსონალი წელიწადში 2-ჯერ წარადგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოების შესახებ.

მეცნიერის ყოველწლიური საქმიანობა ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ინსტიტუტების მიხედვით შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ცოდნის ფონდის მიერ გაწეული დაფინანსება; მეცნიერის მიერ წლის განმავლობაში მოპოვებული გრანტების მოცულობა და რაოდენობა; უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და ფართის ათვისება;

Impact Factor- იან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა და რეიტინგი; მეცნიერის ციტირების ინდექსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გამოქვეყნებული წიგნები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები; სასწავლო პროცესში ჩართულობა (აკადემიური დატვირთვა წლის განმავლობაში, საათების რაოდენობა); წლის განმავლობაში დოქტორანტების ხელმძღვანელობა და დაცული დისერტაციების რაოდენობა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აკადემიურმა და სამეცნიერო პერსონალმა ისაუბრა ადმინისტრაციის (ორივე უნივერსიტეტში ერთია) მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმებზე და განსაკუთრებით აღნიშნეს მათი მუდმივი მზაობა ლაბორატორიების საჭირო მატერიალური და ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომ მათი სასწავლო და კვლევითი საქმიანობა, მათ შორის მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობა წარიმართოს შეუფერხებლად და წარმატებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასება და შედეგების გამოყენება პერსონალის პროფესიულ განვითარებაში;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერთან, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი

➤ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მაგისტრანტებისთვის ხელმისაწვდომია თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებში არსებული ყველა რესურსი: ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბაზები, კვლევითი ცენტრები, ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზები

და ა.შ. მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.

სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის ადეკვატური გარემოს შესაქმნელად მოწყობილია თანამედროვე სალექციო ოთახები, დარბაზები, ლაბორატორიები და აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომლებიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის და ყოველმხრივ მოსახერხებელია როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

უნივერსიტეტების ტერიტორიაზე სტუდენტებისთვის მოწყობილია კომპიუტერებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები.

სწავლისათვის შესაფერისი გარემოა შექმნილი და თანამედროვე ლიტერატურითაა აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში 200-მდე სტუდენტისთვის არის შექმნილი სამუშაო გარემო და ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზები, რომლებსაც ისინი იყენებენ ლექტორების მიერ გაცემული სხვადასხვა სახის დავალების შესრულებისთვის.

ინფორმაციული ტექნოლოგიები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ყველა მაგისტრანტს აქვს შესაბამისი უნარი ადეკვატურად მოიხმაროს უნივერსიტეტის ტექნიკური რესურსები. კამპუსის ტერიტორიაზე, სადაც აკადემიური ან სამეცნიერო პროცესი მიმდინარეობს ინტერნეტი ხელმისაწვდომია უსადენო ტექნოლოგიებით.

ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კვლევაზე ორიენტირებული პროგრამაა, შესაბამისად პროგრამა უზრუნველყოფილია კვლევისთვის აუცილებელი რესურსებით. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების დროს დადასტურდა პროგრამაში ბიოლოგიისა და ქიმიის მიმართულებებში არსებული ლაბორატორიული როტაციების უზრუნველყოფა შესაბამისი ლაბორატორიებით, რომლებიც აღჭურვილია ლაბორატორიული მოწყობილობებით და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსებით და ხელმისაწვდომია ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის. რაც დაადასტურა გასუბრებისას ადმინისტრაციამ, პროგრამის ხელმძღვანელებმა, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა, რაც მთავარია სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>➤ პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ხორციელდება თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ხელშეკრულების მიხედვით უნივერსიტეტები თანხმდებიან ერთობლივი ძალებით უზრუნველყონ პროგრამა მატერიალური და ადამიანური რესურსებით და იღებენ ვალდებულებას ბიუჯეტიდან გამოყონ სათანადო ფინანსური რესურსები პროგრამის განხორციელებისთვის.</p> <p>დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ ორივე უნივერსიტეტის სასწავლო-პრაქტიკული და ლაბორატორიული ერთეულები აქტიურად გამოიყენება სტუდენტებისათვის პრაქტიკული ცოდნის მისაღებად. ამასთან უზრუნველყოფილია მაგისტრანტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების შეუფერხებელი მიწოდება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიუჯეტი • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>➤ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს ერთი ადმინისტრაცია ჰყავს, შესაბამისად ორივე უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართულია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში, პრორექტორი სასწავლო პროცესების მართვის საკითხებში, სტუდენტების დეკანი. შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ინტეგრირებული ხასიათისაა და ეფუძნება ხარისხის განვითარების, სრულყოფის, პერსონალთან და სტუდენტებთან თანამშრომლობის პრონციპებს.</p> <p>თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით; საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო და სემესტრული გეგმების, სილაბუსების შექმნისა და განახლების პროცესში რეკომენდაციებისა და კონსულტაციების გაწევა; სწავლის, სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა და შეფასება; ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების დაგეგმვა, განხორციელება, ანალიზი და სათანადო რეაგირება; საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის დაგეგმვა, სათანადო დოკუმენტაციების შემუშავება, რეკომენდაციების და კონსულტაციების გაწევა და ა.შ.</p> <p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში</p>

<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს „ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის“ (PDCA) მიხედვით.</p> <p>სასწავლო პროცესის განმავლობაში შიდა შეფასება ხორციელდება სემესტრის განმავლობაში, სისტემატურად და ტარდება სხვადასხვა სახის გამოკითხვა SurveyMonkey-ს პლატფორმის გამოყენებით. ასევე ტარდება რაოდენობრივი კვლევები, საჭიროების შემთხვევაში, თვისობრივი კვლევებიც, ჩაღრმავებული ინტერვიუები ფოკუს ჯგუფებთან და ინდივიდუალური შეხვედრები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი; • ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობაში ჩართული სამსახურების ფუნქციები (სამუშაოს აღწერილობები); • გამოკითხვები; • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>➤ პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული სამსახურების მიერ განხილული იქნა ორივე უნივერსიტეტში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისას მიღებული რეკომენდაციები/რჩევები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში თვითშეფასების</p>

<p>ჯგუფმა გათვალისწინა მათი ნაწილი პროგრამის აკრედიტაციის სტრანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>➤ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება სემესტრის განმავლობაში ჩატარებული სხვადასხვა სახის გამოკითხვებით SurveyMonkey-ს პლატფორმის გამოყენებით.</p> <p>სტუდენტები აფასებენ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სასწავლო კურსებს, ადმინისტრაციას, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კითხვარების დამუშავების შემდეგ ხდება შედეგების ანალიზი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს, საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებისა და სილაბუსების განახლებისთვის. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართული პროგრამის შეფასების პროცესში და თავის მოსაზრებებს მუდმივად აფიქსირებენ პროგრამის ხელმძღვანელებთან.</p>

აკადემიურმა პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ გამოკითხვებით მათ საშუალება ეძლევათ შეაფასონ გამოყენებული სწავლების მეთოდების, მიდგომების, შეფასების სისტემის ეფექტიანობა და სასწავლო კურსის შინაარსის ადეკვატურობა დასახულ მიზნებთან მიმართებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, აუცილებლობის შემთხვევაში, გასცემს რეკომენდაციებს პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირების შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი.

სტუდენტთა გამოკითხვებითა და სასწავლო პროცესის მართვის ინფორმაციული სისტემაში უწყისების მონიტორინგით ხდება შეფასების სისტემაში გამოყენებული ცოდნის შემოწმების ფორმებისა და ტექნიკების რელევანტურობის შეფასება. პროცესი ინტერვიუს დროს აღწერილი იქნა პროგრამების განვითარების საკითხებში პრორექტორის მიერ. მან აღნიშნა, რომ თუ მონიტორინგის შედეგად დადგინდა ნიშნების განაწილებაში სიმეტრიულობის დარღვევა, ლექტორთან ერთად ხდება კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების სისტემის მეთოდოლოგიური ანალიზი, შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, შედეგად ლექტორი აუმჯობესებს შეფასების სისტემას, რაც ემსახურება სტუდენტის აკადემიური მოსწრების, სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობების გაუმჯობესებას. უსდ-ს წარმომადგენლებმა ასევე ისაუბრეს ლექტორების მიერ სტუდენტებისთვის უკუკავშირის დაბრუნების კომპონენტზე და აღნიშნეს, რომ უკუკავშირით მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება რეკომენდაციების გაცემა, რომელთა გათვალისწინებით სტუდენტს შეუძლია უკეთ დაგეგმოს საკუთარი სწავლის პროცესი და გააუმჯობესოს საკუთარი აკადემიური მოსწრება და სწავლის შედეგების მიღწევადობის მაჩვენებელი.

თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდების გამოყენებით. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვას და მიღებული შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვას და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას. პირდაპირი მეთოდებიდან გამოყოფილ იქნა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო კურსების წვლილს პროგრამის მიზნების მიღწევაში და აჩვენებს თითოეული სასწავლო კურსის როლს, დანიშნულებასა თუ აუცილებლობას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში. როგორც აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის განსაზღვრა ხდება ლექტორის მიერ სილაბუსის შედგენისას და სკოლის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის მიერ მოწმდება მისი რელევანტურობა და ადეკვატურობა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება თბილისის თავისუფალ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებში მიმდინარეობს მუდმივად და მათ შორისა ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- გამოკითხვები;
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი,

ააიპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნათია ლაჭავაძე

ნ. ლაჭავაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

დავით ნიშნიანიძე

დ. ნიშნიანიძე

ვლადიმერ ციციშვილი

ვ. ციციშვილი

ანი ბილანიშვილი

ა. ბილანიშვილი